წელიწადი I-ლი

ოთხშაბათი 9 თებერვალი

ფასი 30 მან.

ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 50 მან.
4 „ „ „ . . . 45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პრ. №3. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დღის 10 ს. 12 საათამდე.

№ 29 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათომის ქალაქის გამგეობა

აცხადებს ქალაქის ელექტრონის სადგურის აბონენტების სიყურადღებოთ, რომ 1921 წ. იანვრის 1-დან თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, ელექტრონის ძალაზე დაწესებულია შემდეგი ნიხრი:

ჯგუფი ა . . . 1 კ-ს—135 მან. ვ.-მოტ—1 ცს. მ . 14 000 მან.
„ ბ . . . „ — 180 მან. „ „ 1—5 თითო . . 12.600 მან.
5 . . . 15 თითოულზე 11.000 მან.

ბინებში 1 ოთახ.—50 სანთლამდე 1350 მ. სავაჭრ. დაწ. უფრიცხვ.
2 „ —100 „ —2460 მ. 1ლ.-32 სანთლ.—1680 მ.
3 „ —150 „ —3300 მ. 1— 50 „ —2010 მ.
4 „ —200 „ —4200 მ 1— 100 „ —3990 მ.
5 „ —250 „ —5100 მ. 1—200 „ —7500 მ.
6 „ —300 „ —6000 მ

სამრეწველო ტარიფი: მრიცხველის ქირა ოვ. 400 მან
1000 კ.-ს-მდე—70 მ. კ-ს. პროექტორის „ „ 10000 მან.
5000 „ —65 მან.
5000 „ ზევით 60 მან.

ასეთივე ნიხრია დაწესებული ბ. ფეფელოვის კერძო სადგურისათვისაც ქალაქის გამგეობა სთხოვს იმ აბონენტებს ვისაც ბ ფეფელოვი დაწესებულზე მეტს გადაახდევინებს აცნობონ მას ასეთ შემთხვევაში

სათანადო ზომების მისაღებათ.

51 3—1 ბათომის ქალაქის გამგეობა.

განცხადება.

საზოგადოების არა მაშრომელ ნაწილისათვის შრომის ბეგარის შემოღების შესახებ თანახმად რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებული 1920 წ. დეკემბრის 6 სხდომის და აგრეთვე სუსალხო გვარდიის მთავარი შტაბის ბრძანებისა, ბათომის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბი აცხადებს რომ ბათომში და მის მიდამოებში მცხოვრებნი არა მშრომელნი ელემენტები განურჩევლად ქვეშერდომობისა 18—55 წლამდე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ ა||წ. 8, 9, 10 და 11 თებერვალს დილის 10 საათიდგან—3 საათამდე დამოუკიდებლობის მოედანზე (ყოფილ აზიზიის მოედანზე) გვარდიის შტაბის შენობაში.

ზემო აღნიშნულ შრომის ბეგარის მოხდისაგან განთავისუფლებულნი არიან შემდეგი კატეგორიის მოქალაქენი: უმუშევრად დარჩენილნი მუშა-მოსამსახურეები, უცხო მისიის მოსამსახურეები და ცნობილი პოლიტიკური რევოლიუციონური ემინგრანტები.

ის პირები რომლებიც არ გამოცხადდებიან სარეგისტაციოთ თავის დროზე და გაექცევიან მობილიზაციას ჩაითვლებიან შრომის დეზერტირებათ და დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით.

ბათომის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბი.

55 1—2—50

კოოპერატივ

„სხივი“

გაიხსნა ფეხსაცმელების

სახელოსნო

განცხადება

თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, მიმდინარე წლის იანვრის 10-დან

ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ელექტრონის სადგურების, წისქვილების, ქარხნების და ყველა ისეთი საწარმოვო და სხვა დაწესებულებების მესაკუთრეთა საყურადღებოთ, სადაც მუშაობა სწარმოებს შიდა წვის ძანქანებით, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან მათ არ მიეცემათ თხელი საბობი მასალა და ამიტომ ეხლავე უნდა მიიღონ ზომები მანქანების მაგარ საბობ მასალებზე გადასაკეთებლათ ან გაზით გასახურებლად თუ წინააღმდეგ ამ განკარგულებისა ზემოთ დასახელებულ დაწესებულებათა მეპატრონეები ან გამგენი ეარს განაცხადებენ მანქანების შეცვლა-გადაკეთებაზე, მათ საწარმოვო-სამრეწველო დარგები ჩაეოერთმევათ და გადაეცემათ საზოგადო ან სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც დაეკისრებათ მანქანების გადაკეთებაც და ეკსპლოატაციაც მანქანების გაგაკე თებაში აღნიშნულ პირთ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო რკინის გზათა მთავარი სახელოსნოები მანქანების სხვა და სხვა ნაწილების დამზადებაში, მთავრობის საწყობები კი საჭირო მასალების მიწოდებით. ყოველგვარ ცნობებს ამ საკითხის შესახებ იძლევა ბათომის ქალაქის გამგეობის საალმშენებლო განყოფილება.

46 ბათომის ქალაქის გამგეობა.

განცხადება

1921 წ. თებერვლის 2 დღესა ქალ. ბათომი.

ამით ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ თანახმად გენერალური შტაბის განკარგულებისა ყველა ქალაქ ბათომის და მისი ოლქი მცხოვრებნი დაბადებულნი 1900 წ. და აგრეთვე სამხედრო ვალდებულნი 1897, 1898 და 1899 წ. დაბადებულნი, რომლებსაც სხვა და სხვა მიზეზის გამო, სამსახურში გაწვევის ვადა ქონდათ გაგრძელებული. უნდა გამოცხადდენ ამა წლის 6 თებერვლიდგან 15 თებერვლამდე მიმღებ კომისიაში, რომელიც არს მოთავსებული ციხე სიმაგრის შტაბში სმეკალოვის ქუჩაზე სადაც იქნება მიმღები კომისიის სხდომა დილის 9 საათიდან

მიმდინარე წლის ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში:

1 ყოველი გაწვეული ახალგაზრდა მოვალეა უეჭველადზე მოაღნიშნულს ვადების მიხედვით გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში დათ ან იქონიონ გასაწვევი უწყება, მიღებული სათანადო კომისარიატიდან.

2. საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოადგენენ დანიშნულ ვადაზე სათანადო მოწმობებს, სასწავლებლის უფროსებისაგან, სამხედრო ბეგრის მოხსნის ვადა გადაედებათ 21 წლის შესრულებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაუყოვნებლივ იქნებიან ჯარში გაწვეულნი.

შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს არა აქვთ უფლება ჯარში გაწვევის ვადის გადადებისა და ამიტომ ვალდებულნი არიან გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში.

3. არავითარი სამსახური არც კერძო, არც საზოგადო, არც მთავრობის დაწესებულებაში, არც სახალხო გვარდიაში, და არც მილიციაში არ ანთავისუფლებს მოქალაქეთ ჯარში გაწვევისაგან, ამიტომ ყველა ამ დაწესებულებათ ვალებათ დროზე გაუსწორონ ანგარიშები ახალგაწვეულთ.

4. 1919 წ. 20 მაისის კანონი ერთად ერთი მარჩენალთა შესახებ ეხლანდელ მორიგ გაწვევის დროს მოსპობილია.

5 ხსენებული მორიგი გაწვევა არ ვრცელდება ქართველ მუსლიმანებზედ.

6. ყველა სამხედრო ვალდებულნი, რომლებიც სრულიად არ გამოცხადდებიან ან და გამოცხადდებიან მიიღებენ პუნქტზე 15 თებერვლის შემდეგ, მიცემული იქნებიან პასუხის გებაში სამსახურში მიღებით.

მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ზ. ზიზრგაძე.

განცხადება

ბათომის სამხედრო მაღაზიის გამგე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის თებერვლის 15-ს სამშაბათს, დილის 11 საათზე, დანიშნულია

საჯარო შეჯიბრება

ბათომის გარნიზონის ჯარების პურის-საცხობი იჯარით გაცემაზე. საჯალდებულოა შეჯიბრების მსურველთ შემოიტანონ საწინდარი 300000 მანეთი. ყოველ ცნობების მიღება შეიძლება მაღაზიის კანცელარიაში, 8 საათიდან 3 საათამდე გოროდოკში.

ბათომის სამხედრო სასურსათო მაღაზიის გამგე. 3—3

განცხადება

მთავრობის საგანგებო რწმუნებულის ბათომსა და მის ოლქში.

თანახმათ მუშებისათვის პირველ ხარისხის საგნების მიწოდების შესახებ ქ. ბათომის კერძო დაწესებულების მეპატრონეების თათბირის დადგენილებისა, რომელმაც აირჩია კომისია შემდგარი ე. მატიევიჩისა, რ. ჯავახოვისა, ი. კრასევიჩისა, ფ. სპანდიკოვისა, და ი. სულაბერიძისა შრომის კომისრის აფ. წულაძის და მუშათა მაგიდის გამგის ს. ყუფარაძის მონაწილეობით,—წანადადებას ვაძლევ ბათომის ყველა კერძო დაწესებულებათა მეპატრონეებს, რომლების მუშები არ იღებენ პურს მუშათა მაგიდიდან აასრულონ შაბათ, 12 თებერვლამდე შემდეგი:

1. წარმომადგინოს სიამუშა-მოსამსახურეთაც რათა რაციონის აღების უფლება ქონდეთ იმ გვარათ, როგორც მუშათა მაგსდას უდგენენ.

2. შეიტანოს ყოველ მუშა-მობამსახურეებსე, რომელიც 25.000 მან. ნაკლებს იღებს 30.000 მან. (სამი თვის ნორმა) ამიერ კავკასიის ბანკის ბათომის განყოფილებაში შრომის კომისრის აფ. წულაძის სახელზე.

3. კვიტანცია ფულის შეტანის შესახებ სიებთან ერთად წარუდგინოს კომისარიატის სამართველოში კომისიის მორიგ წევრს (დუნდ. კორ. № 18).

4. სიები დაიწერება ჩეულებრივ ქაღალდზე.

მთავრობის საგანგებო რწმუნებული ზრ. ზიზრგაძე.

57 3—1

ბათომი 9 თებერვალი.

გუშინ უნდა დაწყებულიყო ქ. ბათომში და მის ოლქში დროებით, შრომის ბეგრის განხორციელება. მთელ რესპუბლიკაში ამ საქმეს სათავეში უდგია სახალხო გვარდია. თვით ეს ნაბიჯიც რესპუბლიკის მთავრობამ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წინადადებით მიიღო. ცენტრში ბეგარა კარგა ხანია ნამდვილდება ცხოვრებაში, თუმცა ჯერ არ არის გამოქვეყნებული მისი შედეგები.

ბათომში განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა შევეკიდოთ შრომის ბეგრის განხორციელებას. ამ ჟამად ჩვენს ქალაქს ბევრი უსაქმური აწყვეს ტვირთად და მუქთა მჭამელათ, ბათომში ბევრი მოსეირნე, დროის მატარებელი კომბინატორი და სპეკულიანტია შრომის ბეგარა უნდა გატარდეს საამისო დებულების მკაცრად შესრულებით. არავითარი პატიება და არავითარი შელავათი.

ხოლო მეორეს მხრით, რომ შრომის ბეგარამ რეალური ნაყოფი გამოიღოს ამიტომ მისთვის აუცილებელი პირობები წინასწარ შექმნილი უნდა იყოს. ბეგარაზე გაწვეულები უნდა ვამუშაოდ სისტემით და წესიერად.

საერთოდ ამ საქმის სასურველ მოგვარებისთვის ჩვენის აზრით მიზანშეწონილი იქნებოდა თუ გვარდიის საოლქო შტაბი დაიხმარდა ქალაქის თვითმართველობას და სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთ.

ვინატრებთ ბეგარის სასურველად განხორციელებას და მისგან ნაყოფის დატოვებას.

პასუხი წერილებზე.

(არჩეულნებისათვის)

ჩვენ გვაქვს ბურჟუაზიის „ხალხისათვის სასარგებლო“ მოღვაწეობის დამახასიათებელი მაგალითი.

უდიდესი მაგალითი, რომელშიაც მოსჩანს მთელი ავლადიდება, ფილოსოფია, პრაქტიკა და საქმიანობა მსოფლიო ავანტიურისტებისა.

ამ მაგალითით ბურჟუაზია წარსდგა კაცობრიობის წინაშე ნიღაბ ჩამოგლეჯილი, მხილებული, შერცხვენილი და გათახსირებული.

მან გამოაშკარავა თავისი საშინელი სახე.

საზიზღარი სახე, რომლის დემონიური ღრეჯა მაჯლაჯუნასავით აწვა კაცობრიობას ისტორიული დროიდან.

რომელიც ახრჩობდა ადამიანს, აცუდევებდა მის სულს, აღიზიანებდა და ანვითარებდა მის უძლაბლეს გრძნობებს.

ამრჩეველი მიხვდება რაზეა ლაპარაკი.

ანას დიდი შრომა და ფიქრი არ ესაჭიროება.

ევროპის ომი!

ბათომის ქალაქის საჯარო ვაჭრობის

დარბაზი

შემდეგი

საჯარო ვაჭრობა

მოხდება ოთხშაბათს, 9 თებერვალს

დღის 2 სათზედ.

ნივთების მიღება გრძელდება.

ომის ღმერთი და კერძო საკუთრების მფეაი რაღტრე ბურჟუაზია ალტაცებით გადაეხვიენ ერთმანეთს და შეთანხმდენ საშინელ შეთქმულებაში:

— კაცობრიობის სისხლში ჩახრჩობაში!

ამაზე უკეთესი „სამსახური“ განა შეიძლება?!!

ჩემს წინ დევს ჟურნალი, რომელშიაც ამოიკითხება საშინელი ციფრები.

მართალია თვალი შეეჩვია ყოველგვარ ციფრებს და გონებაც შეეჩვია ყოველგვარ სინამდვილეს, მართალია ისიც, რომ გარდამავალი ხანის სიმწარემ გაანელა გრძნობები და შეგეცჩვია შეუჩვეველს, მაგრამ ეს მაინც საშინელება არის!

თუ კაცი ოდნავ ადამიანობს, — ის ამ ციფრების ერთი თვალის გადავლებით არ უნდა დაკმაყოფილდეს!

მან უნდა ჩაიხედოს ამ ციფრების „გულში“, უნდა გახსნას საიდუმლო უჯრედი, დაფიქრდეს, განიცადოს და,..

და ის გაიგებს თუ რას ნიშნავს ბურჟუაზიის პოლიტიკური გეგემონია!

მისი სახელმწიფო მართვა-გამგეობის იდეოლოგია!

მიუდგომელ ისტორიკოსს უკვე აუღია ხელში კალამი ევროპის ომის აღსაწერათ.

ჯერჯერობით ეს შრომა იწყება მხოლოთ სტატისტიკით.

რას ამბობს ეს სტატისტიკა?

მოოფლიო ომს უმსხვერპლებია — ოთხმოცი მილიონი ადამიანი!

რას ნიშნავს ეს? მარტო სიკვდილს და დაღუპვას?

განა მხოლოთ ამაშია ამ სტატისტიკის საშინელება?

ეს რომ მხოლოთ ასე იყოს, — კაცობრიობის მსხვერპლი არც ისე განმანადგურებელი იქნებოდა.

ოთხმოცი მილიონი ახალგაზრდა კი არ დაიღუპა მხოლოთ, — მთელი ეს საზღაპრო ძალა და შესაძლებლობა, რომელიც კაცობრიობის წარმატებას და განვითარებას უნდა გამოსდგომოდა, — სწორეთ ამ კაცობრიობის საწინააღმდეგო ძალით იქნა გამოყენებული, მისი განვითარების და ბედნიერების მესაფლავეთ გადაიქცა.

პროგრესის და წინმსვლელობის ებლემა ქვეყნის დაქცევის და გაჭირვების უღელში ხალხის დახრჩობის იარაღათ იქცა.

ევროპის ომმა მოსპო და გაანიავა ათასეულ მილიარდებათ ღირებული ადამიანის ნაშრომ — ნაოფლარი.

ვაცოფებული ომის ღმერთი რამდენიმე წელს პირდორბლიანი დასტრიალებდა ქვეყანას ზღლიდან, არ იქნა და კიდევ ვერ გაძღა ამდენი ლმანკო სისხლით!..

აოხრდა ქვეყნები, განადგურდა კაცობრიობა, დამბლა დაეცა ადამიანის სულიერ ცხოვრების უძვირფასეს განცდებს და მწარე იჭვით დაავადმყოფთა ხალხის განაწამები გული და სული!

ვინ არის ამაში დამნაშავე!? ვინ?!

ვინ გამოიწვია ეს სისხლის ღვრა?

მსოფლიო ავაზაკებმა, გარეგნულათ კულტურულსან ადამიანის ნიღაბს რომ ატარებენ და ნამდვილათ კი ხალხის სისხლით და ხორცით რომ საზრდოობენ!

— ბურჟუაზიამ!!

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში „ეპატრონებოდენ“ ქვეყანას ეს კერძო საკუთრების მფლმერთებელნი.

ათას წლიანი „სტაჟი“ აქვს მათ „მოღვაწეობას“!

ეს დრო საკმარისია ცუდის დასაგმობათ და კარგის მისაღებათ.

ეხლა თვით ცხოვრებამ გაატიტვლა და ჩამოაყალიბა ჩვენს წინაშე კარგიც და ავიც.

ეს მხილება მოსვენებას არ აძლევს იმათ, ვინც ხალხის გასამართლებლ — განკითხვის რიგში მოექცა.

და ეხლა, ქალაქის ხმოსნებინ და პარლამენტის დეპუტატების არჩევნებში ამ საქვეყნოთ გათახსარებულ „მცნებათა“ მქადაგებლები ჩვენშიც ფიქრობენ გამოსვლას და ამრჩეველების გადაბირებას.

ერთი გულით და ერთი სულით შეეძახოთ მათ:

შორს თქვენი სისხლიანი ხელები!

ფანდოანი.

ოსმალეთი და სომხეთი.

ყიზიმ-ბეი, ანგორის მთავრობის წარმომადგენელი საქართველოში, აცხადებს, რომ ოსმალეთმა უარჰყო ერევნის რევკომის წინადადება ომის ძალით დაკავებულ სომხურ ტერიტორიის დაცლის შესახებ.

ყიზიმ-ბეი ლაპარაკობს რა ამ-ს წინათ სომხეთის რევკომის მიერ ანგორაში გაგზავნილ ნოტის შესახებ სხვათა შორის ამბობს, რომ სომხეთში ასკერები კი არ აწარმოებენ ძარცვა-გლეჯას, არამედ დანაკოცებრბოებია.

ყიზიმ-ბეი უკმაყოფილოა იმ ინფორმაციით, რომელიც ოსმალეთის საზიანოთ ისტამბეგა სომხურ გამოცემებში და სიმართლეს არ შეიცავს.

ბოლშევიკურად გადაცმული სომხის დაშნაკებს ვერ გაუცურებიათ ოსმალოს დიპლომატია.

სომხები სცდილობდენ ბოლშევიზაციით ოსმალთაგან თავის დახწევას, რაც სახელდახელო იყო, მაგრამ წყეულმა პოლიტიკამ როდი იცის ხელად ჰურის ამოცხობა. ოსმალეთმა დაპყრობილ ადგილებში ახლოსაც არ გაიკარა კომუნისტები, და მათი რევკომი. ეს მოვლენა ნაწილობრივ მაინც ამჟღავნებს თუ როგორი მეგობრობა აქვთ ოსმალთ და ბოლშევიკებს.

სომხეთი საყურადღებო როლშია. აქ უნდა გამოაშკარავდეს რანაირად დაიცავს მყისვე გაკომუნისტებულ სომხებს მოსკოვი და როგორ შეხვდება ამას ოსმალეთი. საერთოდ სომხეთ ოსმალეთის დამოკიდებულება კავკასიაში და რუსეთის საბოლოო სიტყვა ამ მხრით მეტად საყურადღებოა ჩვენთვის.

სომხებს და ოსმალებს „ზავი“ აღარა აქვთ, რევკომი აღშფოთებულია ოსმალო ჯარის მოქმედებით და გნახოთ თუ რამდენად გაბედავს ერევანი რუსეთს იმედით რვალურ ნაბიჯის გადადგამს ან რამდენათ მისცემს მოსკოვი ამის ნებას და როგორ შეხვდება ამას ოსმალეთი.

გამწვავებული ურთიერთობა მიწურულშია და ახლობელ დღეებში სომხეთიდან ახალ ამბებს უნდა ველოდეთ.

ი. ჯიხაიშვილი.

საქართველო 1918 წ.

ახალი შობის და საქართველოს განახლების წელია 1918 წელი!.. დიდი და ისტორიული თარიღია 1918 წ. ქართლის ყოფისთვის. 1918 წელს განახლდა საქართველოს თვითმყოფობის ისტორია, 1918 წლიდან ქართველი ერი უცხო ტომის მონობის ბორკილს სამუდამოთ ლეწს და ახალ ცხოვრებას იწყებს.

ნეტარი და ტკბილია ეს წელი. საოცნებო და ფერადოვანია იგი მახსოვრობაში.

ქართველი ერს ახალ დასაბამათ მიაჩნია ეს საქართველოსთვის უდიდესი გარდატეხის წელი.

საქართველო მაისობდა თვით მაისის თვეში. ის იყო გაზაფხული ეს ლუკ საქართველოს უპირებდა პოეტურ განცდათა უძიროებაში გადაგდებას, ქართველი ხალხი თითქოს შერიგებულიყო თავის უბედობას ისევ სვდიან ჰანგთა აკვნესებაში და თეორიულ პრობლემათა თხზვაში იკმაყოფილებდა თავს.

გლეხი და მუშა გატაცებული იყვენ რუსეთის რევოლუციის დიდებით და ამ რევოლუციიდან გამოელოდენ ძვირფას საგანძურს.

ქართველი გლეხი და მუშა, რომელიც არ აყოლია არც ერთ უკიდურესობას და არც რევოლუციას გადასდგომია, — უთუოდ ელოდა რევოლუციიდან მთელ რიგ მიღწევებისას, მაგრამ 26 მაისის მბრწყინავ აქტს რეალურად არავინ არ ელოდა!..

თბილისში ამ დღეს ნების ყოფითა სრულიად საქართველოს ერისა ახლად დაიბადა საქართველო.

ახალ შობილს გამზდელებათ. დამვაჟკაცებად მოევლინენ მშრომელ საქართველოს შვილნი...

იშვა ახალი მშრომელი საქართველო,

მსოფლიოს ჰორიზონტზე ვაჩნდა წერტილი დამოუკიდებელ საქართველოს სახელ რქმევით.

ნორჩი ბალღი მყისვე მონათლა მშრომელ საქართველოს ხელმა და მას მცნებათ დაუდვა შრომა, ბრძოლა თავისუფლებისთვის, ერთა საყვარულისთვის და სამართლიანობისთვის.

მსოფლიოს ცაზე აბრწყინდა ახალი ვარსკვლავი სრულიად ახალ ფორმაციის ქვეყნისა, დემოკრატიულ საქართველოსა, რომელსაც მესაჭეობდა თვით ხალხი...

საქართველო და მისი ზრახვანი ახალი მოვლენა იყო მსოფლიოს ყოფაში.

აზიის და ევროპის საშიშ ხიდზე, კავკასიის ერთა მრისხანების ტალღებში, კონტრრევოლუციურ თუ კომუნისტურ რუსეთის აღყა შემორტყმის ჟამს, გაჩნდა თვით არს სჯეულად საქართველო და თავის პრინციპები წამოაყენა.

საქართველოს აღმოცენება ზოგს ყველიერის თოვლად მიაჩნდათ, ზოგს გაუგებრობათ და ზოგს კიდევ ქართველ ხალხის მეტიჩრობათ.

მოკლეთ მტერი ბევრი იყო ხოლო მოყვარე სულ არა, გარდა საერთაშორისო დემოკრატიისა, რომელსაც მაშინ საქართველოს საქმეში იურიდიულ მნიშვნელობის ხმა არ ჰქონდა.

ქართველი ერი, მიუხედავათ ირგვლივ უიმედობისა და მტერთა რისხვისა, ცეცხლის ენერგიით ვიდოდა წინ და გზა და გზა სოციალურ ტკივილთ უკმაყოფილებდა იმ ხალხს, რომლის სახელითაც შეიქმნა ეს სახელმწიფო.

პირველ დამოუკიდებელ გათენებიდანვე ქართველ კაცს დასჭირდა ხელში იარაღის აღება და ასე თავის თავისუფლების დარაჯობა.

ქართველ კაცს ერთ ხელში მახვილი უჭირავს და მეორე ხელით გუთანს ამუშავებს, რადგან მის ქმნილებას — ხალხის რესპუბლიკას ყოველ ტერი უპირებენ დაქცევას და წახდებას. ასე იყო ძველადაც, საქართველოს ისტორიულ სახელმწიფურ წარსულში.

საქართველოს სახელმწიფოს უკვე სამი წლის ისტორია აქვს, ამ სამი წლის სიგრძეზე, რაც ისტორიისთვის ერთი სულის მოთქმაა ქართველ ერს მრავალი გამარჯვებანი და მიღწევანი ამშვენებს. ქართველი ერის ხელმწიფებითი და თვითმართვითი ნიჭი საყოველთაოდ გამართლებული და აღიარებულია. ქართველ ერს, სამი წლის სიგანეზე რევოლიუციურ შემოქმედების გზით მავალს, ამკობს დამფუძნებელი კრება, მიწის რეფორმა, უმადლესი სასწავლებელი, საქართველოს ვაერიიანება, რაც მე-15 საუკუნიდან აღარ ღირსებია ქართველ ერს და ბოლოს უბრწყინვალესი გამარჯვება — საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ცივილიზაციურ სახელმწიფოთა შემადგენლობაში შეყვანა, საქართველოსი ევროპის სახელმწიფოთა ოჯახის სრულ უფლებიან წევრათ მიღება.

ასეთია სამი წლის მერე თეთრი გიორგის ის ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებელ ორსად 1918 წ. გამოვიდა.

1918 წ. 26 მაისის დიდ გარდატეხის წინამორბედ ხანის წარმოსადგენათ და საერთოდ იმ ისტორიულ პერიოდის დასახასიათებლად ჩვენ უნდა მოვმართოთ ოფიციალ საბუთებს.

საქართველოს განთავისუფლებას და მის დამოუკიდებლობამდე მოყვანას ფაქტიურად სათავე ეძლევა 1917 წ. რუსეთის თვითმპყრობელ ტახტის წაქცევიდან, თებერვლის რევოლუციის დაწყებიდან.

რევოლუციაში რუსეთის ცენტრზე დაშორებული საქართველო მთავარი მეროლე იყო.

საქართველოს დეპუტატები რევოლიუციის უმთავრეს სიმძიმეს თავის ბეჭებით ატარებდენ პეტერბურგში.

როცა რევოლუციის მთლიანობა გაიბზარა და ცენტრში რევოლუციონერ რუსულ ბოლშევიზმად იქცა, ე. ი. მთელ რუსეთში რევოლუცია მოკვდა, სამოქალაქო ომისთვის ადგილის დათმობით და მეფის ჯარის მაგ იმპერიალისტურ ზრახვებისთვის ნაზე წითელ არმიის გამოყენებ დროდან რევოლუცია ნამდვ მხოლოდ საქართველოში ს ლობს და რევოლუციის საქ მკმეველათ ქართველი ერი ს

რუსულ რევოლუციის მთლ ბაში საქართველოს ჭელადებს სონანსი არ შეუტანიან და ქ ლი საკითხი პეტერსბურგში არ სვამთ. ეს გარემოება იმით აიხს რომ ქართველ დემოკრატიის მომადგენელთ მაშინ ქართულ ს ხის დასმით რეალური ნაყოფის ლოდინი არ ქონდათ და ამისი აქ კავკასიაში ქართულ ხის განცალკევებულად დასმა ველათ მოყვებოდა რუსის კავ ხალხის ჩვენ წინააღმდეგ ალ მათ მიერ გაბოროტებულ ჯარში საპროვოკაციო „საპოგრ ნაპერწკლის გადაგდება და დავიღუპებოდით. გაგვისწორდ დენ მხეკურად „მოღალატე რატისტებს“ და მას ვერ იქმ პირები, რომელთაც თავის ხალხის ინტერესების კაშომ ლად და ხალხის ქომაგებათ მ დათ.

ასეთმა პოლიტიკამ გადაგვ ჩვენ იმ მარცხისგან და ტრაღ გან, რომელიც მოგველოდა გ შევიკებულ კავკასიის ფრონტ

ოქტომბრის გადანგრევის შემ რამაც რუსეთის თებერვლის ლიუციის გეზი ბოლშევიზმით

ად დაყენების საქმეში. მისი შრიმა-ცოდნა სწორეთ დღეს იყო საჭირო, ბაგრამ წყეულმა სიკვდილმა სწორეთ ახლა მოიტაცა იგი და არ აცალა „იურიდიულათ“ ცნობილ სამშობლოსთვისაც ემსახურნა. მისი ასე უდროოდ დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისია ქართულ სენატისთვის. სენატის თავმჯდომარის ადგილი თითქმის ცარიელი რჩება.

სამშობლო ვერ დაივიწყებს ამ პატიოსან მუშაკს და იშვიათ სინდის-ცოდნის კაცს, რომელიც ქვეყანას ემსახურებოდა.

სომხეთის იმედები.

სომხები ისევ უმთავრეს იმედებს ამყარებენ მოკავშირეებზე, მათი ფიქრით; ოსმალეთთან მოლაპარაკების დროს სომხეთის საკითხიც დადებითად გადაწყდება.

სტამბოლის ცნობები.

— გაზ. „ბოსფორის“ ცნობით ბოლშევიკებსა და ანგორას შორის სერიოზული უთანხმოებანი დაიწყო.

— სომხეთში ოსმალოს ჯარს რუსებთან შეტაკება მოსვლია.

— ხმებია აზერბეიჯანში რუსის წითელ არმიელებს ელეტენო.

— უკრაინაში აჯანყებები არ ქრება.

— ჩეხო-სლოვაკიაში 78 კაცი დახვრიტეს ბოლშევიკურ გამოსვლისთვის.

— ინგლისის პარლამენტის მომავალ სესიაში რუსეთის საკითხის დასმას ელიან.

— სპარსეთში ბოლშევიკების წინააღმდეგ ინგლისი ახალ ჯარებს გზავნის.

— ბოლშევიკურ ცნობებით გერმანიაში რუსეთთან შეკავშირების სურვილი ჭეტად ძლიერია.

ახალი ამბები.

— თბილისში გამოდის ახალი ქართული გაზეთი „თავისუფალი სიტყვა“.

— მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულის წარმომადგენლად სამხედრო მიმლებ კომისიაში დაინიშნა კაპ. ირ. დიდიძე.

— ქართული ენის კურსები. ბათომის სავაჭრო გიმნაზიაში გაიხსნა ქართული ენის საღამოს კურსები. კურსებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი მასწავლებლები. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ გიმნაზიის სამმართველოში.

— „საზ. შევარდენის“ კრება ქალაქის მოურავის გიზო ანჯაფარიძის თავმჯდომარეობით მოხდა თებერვლის 7-ს ქალაქის თვითმართველობაში, საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ აირჩიეს გიზო ანჯაფარიძე. (დაწვრილებით შემდეგ).

— ამ დღეებში მოეწყობა საზ. „შევარდენის“ დიდი ფასიანი გამოსვლას.

— 3 თებერვლიდან ამერიკის მისია და ახლო აღმოსავლეთში დამხმარე კომიტეტი, რომელიც იმყოფებოდა სვიატოპოლკ-მირსკის ქ გაუქმებულია. მის მაგიერობას გასწევს ფინანსიურ ნაწილის მხრივ ფირმა მატიევიჩი და კომპანია. ამერიკელი ბ-ნი რეი-ობდენი დანიშნულია დირექტორად ამავე კომიტეტისა.

— დაიწყო ახალგაზდათა მორიგი გაწვევა.

— სოციალისტ-ფედერალისტთა ბათომის კომიტეტს დეპ. ჩხიკვიშვილის და ნუცუბიძის შორის დამფუძნებელ კრებას გარეშე მომხდარ კერძო ინციდენტის გამო ბათომში საგანგებო მოწოდებები გამოუშვია, რომელსაც 6 თებერვლს არიგებდენ, ალბათ ექვსი თებერვლის დღესასწაულისთვის „შინაარსის მისაცემად.“

— ბათომის საკითხი. 5 თებ. ინგლისის პრესა დიდ ყურადღებას აპყრობს ბათომის საკითხს. საქართველოს რესპუბლიკის მიერ ამ საკითხში გაჩენილი ენერგიული და მტკიცე პოლიტიკა დიდ თანაგრძნობას პოულობს. მეტათ გავლენიანმა გაზეთებმა სავსებით დაბეჭდეს ჩიჩერინისადმი გაგზავნილი საქართველოს ნოტები, რომლებიც ბათომის საკითხში საბჭოთა რუსეთის ჩარევის ცდას შეეხებოდა. მოყავთ რა ეს ცნობა, გაზეთები აღნიშნავენ, რომ ქართველი ხალხი ამ ჟამად ბევრად უფრო, ვიდრე ოდესმე მზათ არის დაიცვას თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობაო.

— დავით ხელთუფლიშვილის გარდაცვალება. 4 თებერვალს გარდაიცვალა საქართველოს სენატის თავმჯდომარე დავით ბესარიონისძე ხელთუფლიშვილი.

— თავდაცვის ფონდი. ამერიკა-კავკასიის ბანკში თავდაცვის ფონდის მიმდინარე ანგარიშში შეტანილია 21.750.000 მანეთი შემდეგი პირების მიერ: ა. მ. ხომტარიამ შეიტანა 10,000,000 მანეთი. რუსეთ-სპარსეთის ამხანაგობამ „რუპეპარ“-მა 10,000,000 მანეთი, და კ. მამულაიშვილმა 250 ათასი მანეთი, ი. დადიანმა 250 ათასი მანეთი, ს. დ. კვიტაშვილმა 250 ათასი მანეთი, კ. ალშიბაიამ 1,000,000 მანეთი.

— სასურსათო განყოფილების რევიზია. სასურსათო განყოფილების რევიზიის დროს ხმოსანმა სუხოვმა განაცხადა, რომ ბათომის ყოფ. საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა სთქვა, რომ ვინმე ფიშმანმა წაიღო სასურსათო განყოფილებიდან $3^1/_2$. მილ. მანეთი ავანსათ და შემდეგ დააბრუნა ეს ფული. შეკრიბეს ცნობები ყველა საკრედიტო დაწესებულებებში, მაგრამ ფული არსად არ აღმოჩნდა. შეკითხვაზე ბ. ჩხიკვიშვილმა შემდეგი დეპეშა გამოგზავნა: „აღმაშფოთებელია სუხოვის განცხადება, თითქოს მე რამე მეთქვას, ან ვიცოდე ვინმე ფიშმანის მიერ სასურსათო განყოფილებიდან ფულების წაღების მესახებ. მე არაფერი არ მითქვამს. თუ რაიმე დაბრუნდა იქნება ხაზინაში, ან ქალაქის კასაში იქნება. ვეჭვობ ბოროტმოქმედებას არ ქონდეს ადგილი თვით სუხოვის, ან სასურსათო განყოფილების მხრივ შეეკითხეთ ყოფ. საქმეთა მართველს მამფორიასი. ქალაქის თავი ბენია ჩხიკვიშვილი.

— დ. ხელთუფლიშვილის გარდაცვალების გამო. სენატის თავმჯდომრის დ. ხელთუფლიშვილის გადაცვალების გამო მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა შემდეგი დეპეშა გაგზავნა თბილისში: „სულით და გულით ვგლოვობთ კეთილ ადამიანის დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილის დაკარგვას. მიიღეთ ჩემი თანაგრძნობა

— დუქნების დახურვა. ბათომის მაზრის კომისრის პლ. მიქაბერიძის განკარგულებით, ბათომის რაიონში არდაგანის კაზარმების ახლო-მახლო საწვრიმალო და საბალიონო სავაჭროები იქმნა დაკეტილი.

— ყაჩაღების გამოცხადება. ბათომის მაზრის კომისრის პლ. მიქაბერიძის მიერ მიღებულ ზომებით, ყაჩაღები ხასან ფალავა და მამედ სარჯველაძე, რომლებსაც ბრალი ედებოდა ორთაბათომში ლტოლვილ ბერძნების გაძარცვა, ნებით გამოცხადდენ და მოთავსებული იქმნენ საპყრობილეში.

— გურული სიმღერის სასწავლებელი. ბათომის ვაჟთა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში შეპღლევის ქუჩაზე გაიხსნა გურული სიმღერების სასწავლებელი. ცნობილი მომღერალის ვარლამ სიმონიშვილის მეთაურობით.

— სამხედრო ვალდებულთა გამწვევი კომისია შუამდგომლობს მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულის წინაშე რათა გაიცეს ბრძანება რომ რესპუბლიკის საზღვრებიდან გამავალ პირთ არ ეძლეოდეს ნებართვები თუ კი ისინი არ წარადგენენ სათანადო უწყებებში სამხედრო აღრიცხვის უფროსთან გამოცხადების მოწმობას.

— სამხედრო კომისიაში. მთავრობის განსაკუთრებუ რწმუნებულის წარმომადგენელი პატაკით მოახსენეს განსაკუთრებულ რწმუნებულს, რომ თანახმად გენერალურ შტაბის განკარგულებისა სხვა და სხვა მაზრების სამხედრო ვალდებულთ ბათომის სამხედრო მიმლებ პუნქტზე არ იღებენ, რაც ცუდ მდგომარეობაში აყენებს ასეთ სამხედრო ვალდებულთ, რადგან რკინის გზაზე მიმოსვლის გაძვირების გამო მათ საშუალება არ აქვთ თავ თავის მაზრებში გამოცხადდენ და თხოულობენ მიღებულ იქმნან ბათომში. სამხედრო კომისიის წარმომადგენელი შუამდგომლობს მთავრობისგან განსაკუთრებულ რწმუნებულის წინაშე, რომ ნება დართონ ასეთ სამხედრო ვალდებულთა ბათომშივე მიღებისა.

— ჩამორთმეული ნივთები, ბათომის საოლქო სამმართველო სთხოვს გრიგოლ ნესტორისძე ნაცრიშვილს, რომ მან გამოცხადდეს და მიიღოს 17 აგვისტოს დილის 10 საათზე მისგანჩამორთმეული სხვა და სხვა ნივთები, კინტრიშის რაიონის უფროსისაგან.

— საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლება. „ბომსი“-ს გამგეობა სთხოვს ქალაქის გამგეობას გაანთავისუფლოს საქალაქო გადასახადისაგან წარმოდგენა, რომელიც იმართება ავათმყოფ ამხანაგის სუხუმში გასაგზავნათ.

— ბრძანება ელეკტრონის ენერგიის ეკონომიის შესახებ. მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა გამოსცა შემდეგი ბრძანება. 1. ელეკტრონის ენერგიის ხმარება კერძო აბონენტებს შეუძლიათ საღამო 11 საათამდე. 2. სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს შეუძლიათ ისარგებლონ ელეკტრონის ენერგიით 12 საათამდე, მხოლოდ იმ პირობით რომ ენერგიის ხმარებას შეამცირებენ 50%-მდე. შენიშვნა: ეს განკარგულება არ ვრცელდება შემდეგ სამმართველო ბზე: მთავრობის რწმუნებულის, ფოსტის, ციხის, მილიციისა და ყაზარმებზე, საგანგებო რაზმის, ციხე-სიმაგრეთა უფროსის და კომენდატის ნ ვოსადგურის, ტელეგრაფის, ტელეფონის. აკრძალულია ელეკტრონის სათბობ მანგანების ხმარება. 3. თეატრებს, ლუბებს, საზოგადო საკრებულოს, დაკინემატოგრაფებს შეუძლიათ ისარგებლონ ენერგიით საღამოს 10 საათამდე თან ჩათვლით. მათთან არსებულ ბუფეტს შეუძლია ივაჭროს ანტრაკტების დროს; მოქმედების დროს შეუძლია ანთონ მხოლოდ 50 სანთ. შუშა. 4. დამნაშაგენი აღნიშნულ ბრძანების აუსრულებლობაში დასჯილნი იქნებიან ადმინისტრაციულ წესით. 5. ამ დადგენილების შესრულება ევალება საოლქო ინსპექტორს და მილიციის უფროს.

მსჯავრდადებულნი ღალატში.

ანგორის წარმომადგენლობა იუწყება: რაზმი ედხემ-ბეისა, რომელმაც უღალატა თავის სამშობლოს და გადავიდა ბერძნების მხარეზე (ანატოლიის წინააღმდეგ) შეტაკების შემდეგ გავფანტეთ. ნაწილები, რომლებიც მისი სარდლობის ქვეშ იყვენ, გვბარდება. ედხემის ძმა ტევფიკ-ბეი ბერძნების მხარეზე გადავიდა. ღალატის მიზეზები სჩანს ღასავლეთის ფრონტის სარდლის შემდეგი ბრძანებიდან:

1) დიდი ნაციონალური კრება კრძალავს ყოველგვარ კრებების მოწვევას, როგორც საზოგადოებ-ს ისე პარტიების სახელითი: პირველი საველე რაზმის უფროსებმა, ედხემ-ბეიმ და ტევფიკ-ბეიმ, უნდა იხელმძღვანელონ დიდი ნაციონალური კრების ბრძანებით, 2) პირველი რაზმის უფროსებმა ტევფიკ ბეიმ და ედხემ-ბეი უნდა წარმოადგინონ მთავრობისაგან მიღებულ თანხების და სურსათის დახარჯვის ანგარიში, რადგან ამ თანხების რაზმის უფროსების პირად საჭიროებისათვის დახარჯვა არ შეიძლებოდა. 3) დიდმა ნაციონალურმა კრებამ საქმე ედხემ და ტევფიკ-ბეის მოღალატეობის შესახებ გადასცა „დამოუკიდებლობის“-სასამართლოს, ხსენებულ უფროსებს არ აქვთ ნება მცხოვრებთა თავისი ნებით დასჯისა და მათზე ჯარიმის დადებისა. 4) ჯარში გაწვევის და ჯარისათვის სურსათის მოგროვების საქმეს აგვარებს დიდი ნაციონალური კრება სამხედრო სამინისტროს განსაკუთრებული განყოფილების საშვალებით და ამიტომ ედხემს და ტევფიკს არა აქვთ მოთხოვონ მცხოვრებთ ასკერები, იარაღები და სურსათი. პირველი რაზმის უფროსებს არ აქვთ უფლება თავის სურვილებისამებრ დაითხოვონ სამოქალაქო უწყების მოსამსახურენი. რაზმის უფროსები ნაწილი არიან დიდი ნაციონალური კრების არმიისა და ამიტომ მათ არ შეუძლიათ გამოიყენონ თავისი რაზმები პირად მიზნებისათვის. როგორც ჯარის ნაწილები, ისე სურსათი და იარაღი, რომელიც უფროსების განკარგულებაში იმყოფება, გამოყენებული იქმნას დიდი ნაციონალური კრების გარეშე და შინაურ მტრების წინააღმდეგ, და არა ტევფიკისა და ედხემისთვის ფულების შესაკრებათ.

მუშათა მოძრაობა.

უმუშევრობა ინგლისში.

რეიტერის საგენტო იუწყება: ინგლისის ცენტრალური საგრაფოებში შრომის ბირჟების წინ უმუშევართა გრძელი რიგებია გამწკრივებული. ბრაუნვიჩში რამდენიმე ათასი უმუშევარია.

უცხოეთის საქონელი ფალიუტის კურსის ცვლილების გამო უფრო იაფად იყიდება ვიდრე ინგლისის. ინგლისის მრეწველობას კონკურენციის გაწევა არ შეუძლია.

მინების ბრეწველობა მეტად ცუდ

საღვინე გასტრონომიული მაღაზია

იყიდება

დაწმენდილ დაცდილი ბოთლ-დვრილ

იამაის რომი კონიაკი „IMPERIAL“

დასხვასასმელები მაღალი ღირსებისა

საამაყრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.

25—9

მდგომარეობაშია. მრავალ ქარხნებში მუშაობა შეწყდა, ზოგიერთებში კი კვირაში ორ საათს მუშაობენ. ქვანახშირის რაიონებში 8 ათასი უმუშევარია, 80—100 ათასი კაცი კი შემოკლებულ დრის მუშაობს. ფოლადის მრეწველობა. იერროუში ბაზრების უქონლობის გამო შეწყდა. ტაონში 4 მაღაროში არ მუშაობენ. მარტო ლონდონში 128000 უმუშევარია. წარმოება: საარხიტექტურო, ლითონის დამმუშავებელი, სატრანსპორტო და ტანსაცმელების ყველაზე ძლიერათ განიცდის კრიზისს.

— შრომის ბირჟებმა 859000 განცხადება მიიღეს უმუშევრობის შესახებ.

უმუშევრობა ბელგიაში.

ბელგიის გაზეთები სავსეა უმუშევრობის საშინელი ზრდის აღწერით, რაც შედეგია მთელი ევროპის ვაჭრობა-მრეწველობაში გამეფებულ კრიზისისა.

ყველაზე მწვავეთ ამ კრიზისს ანტვერპენი გრძნობს, კრიზისი ხომალდების დამზადებელ წარმოებაში და დიდ სახელოსნოებში მეტად საგრძნობია. ალმასების გაჩარხვა თითქმის შეწყდა. 5500 მუშა ულუკმა-პუროთ დარჩა, ჯერ-ჯერობით გაუძლო კრიზისს რკინისა და ფოლადის მრეწველობამ. ზოგიერთ ქარხნებში ნახევრზე მეტი მუშები წარმოების შემცირების გამო გაუშვეს. ვერვიეს მინის ქარხნებში კი კვირაში სამ დღეს მუშაობენ. ფლანდრიის საქსოვი ქარხნებიც კრიზისს განიცდიან. უმუშევართა სწორი რიცხვი გამორკვეული არ არის, მაგრამ მათი რიცხვი დაახლოვებით 180000 უდრის.

ინგლისის პროფესიული კავშირები.

წევრთა რიცხვი წლის ბოლოს.

	მაპაკ. (ათას.)	დედაკ. (ათას.)	სულ (ათას.)	ზრდის წლ %
1913	3735	438	4173	
1914	3735	441	4176	0,0
1915	3896	492	4388	5,1
1916	4043	626	4669	6,4
1917	4660	880	5540	18,6
1918	5423	1222	6645	19,9
1919	6695	1329	8024	20,8

აღმოსავლეთი.

განხეთქილება ნორვეგიის სოციალისტებში.

ნორვეგიის სოციალისტურ პარტიაში განხეთქილება მიხდა. პარტიას გამოეყვენ უკიდურესი ძემარცხენეები.

ზემო-სილეზიაში.

გერმანიის პოლიტიკურმა პარტიებმა ზემო-სილეზიაში 7 იანვარს მოკავშირეთა კომისიას გადასცენ თხოვნა, რომელშიაც მოაგონებენ მას, რომ 1920 წლის 11 თებერვალს მათ აუწყეს მცხოვრებთ „თავისუფლებისა და სამართლიანობის ხანის“ მოსვლის შესახებ და დაპირდენ აგრეთვე, რომ უწესოების მეთაურები სასტიკად დაისჯებოდენ. გავიდა 12 თვე და ანარქია დღითი დღე იზრდება. მშვიდობიან მცხოვრებთ იარაღი ჩამოართვეს, ბანდიტები კი მოწერილობებს არ დაემორჩილენ და მათ აქვთ მხარეში თავისუფალი თარეშის საშვალება.

დაბოლოს თხოვნაში მოაგონებენ კომისიას, რომ მისი ვალია მოუღოს ბოლო ანარქიულ მდგომარეობას. ასეთი თხოვნისა, რომელსაც ხელს აწერს კათოლიკური სახალხო პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია და გერმანიის ნაციონალური პარტია, გაეგზავნა ელჩთა კონფერენციას პარიზში

საბჭოთა რუსეთში.

ელექტრიფიკაცია.

რუსეთის საბჭოთა მერვე ყრილობამ დაადგინა რუსეთის ელექტროფიკაციისათვის გადაიდის 500 მილიონი მენეთი ოქროთი. მინიმალური პროგრამმა ელექტროფიკაციისა შესრულებული უნდა იქმნეს ორსამ წელიწადში, მთელი პროგრამა კი 10 წლის განმავლობაში. საბჭოთა მთავრობის ცნობებით რუსეთში ამ ჟამად 597 ელექტრონის სადგური არის, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა უმოქმედოთაა.

დახმარება პეტროგრადს.

16 იანვარს რიგაში ჩავიდენ საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლები დამშეულ პეტროგრადისათვის დახმარების გაგზავნის საკითხის გამოსარკვევათ.

როგორც „კრესტ. გაზ.“ იუწყება, ავტონომიური რეპუბლიკების თათბირზე სასტიკად იქნა გაკრიტიკებული ნაციონალური საქმეების კომისარიატის მოღვაწეობა. ბლენუმის რეზოლიუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ კომისარიატს მოღვაწეობა მოწყვეტილი იყო პერიფერიებს. მისი მუშაკები გაყავდათ ფრონტზე. თვით კომისარიატი ძლიერ სუსტობდა ადგილობრივ ორგანოების ხელმძღვანელობაში, არ მოუგროვებია მეცნიერულ ინფორმაციული მასალები, რაც მეტად საჭირო იყო მისი მუშაობისათვის და ჯერაც ავსებით არ განუხორციელებია ყველა ის ღონისძიებანი, რაც საბჭოთა მთავრობამ დაისახა ნაციონალურ პოლიტიკაში.

თათბირმა მოითხოვა კომისარიატის მუშაობის ნაყოფიერების გასაძლიერებლათ, მისი ახალი მუშაკებით შევსება როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ. თათბირმა დადგინა აგრეთვე გადაყვანილი იქმნას ნაცსაქმეების კომისარიატი დამკვრელ ჯგუფში და მიღებული იქნეს ყველა ზომები კომისარიატის სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 1920 წლის 20 მაისის დადგენილების თანახმად რეორგანიზაციისათვის.

ჯარში.

(მადლობის წერილი).

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

ჩვენ მდამი რწმენებული მეოთხე ქვეითა ათასეულის მთელი ოფიცერთა შემადგენლობა და ჯარის კაცები ულრმეს მადლობას უძღვნიან ბათომის ფრონტის დამხმარე კომიტეტის შემადგენლობას იმ საჩუქარებისათვის, რომელიც მათ შეჰკრიბეს და დაურიგეს როგორც ჯარის კაცებს ისე ოფიცრებს.

ნება მიბოძეთ აღვნიშნოთ ის ღვაწლი და შრომა, რომელიც მათ არ დაიშურეს ამ კეთილი საქმისათვის. ვერც თანამედროვე გაჭირვებულმა მდგომარეობამ, ვერც სიცივემ და ვერც სხვა და სხვა დაბრკოლებებმა ვერ შეაშინა კომიტეტის თანამშრომლები და მათ გასწიეს შრომა. ჯარისკაცთა გულის გასახარებლად. ოუთუნი, პაბიროზი, საწერი ქაღალდი, კარანდაში, სპონი, ნემსი და ასანათი, ფული და სხვა და სხვა ასეთები ამ ჟამად ყოველ ჯარის კაცს და ოფიცერს აქვს ფრონტის კომიტეტის დაუღალავ მუშაობით. ფრონტის დამხმარე კომიტეტი კვლავ იჩენს დაუღალავ შრომას და გვაწვდის სხვა და სხვა საგნებს და ჯარისკაცთათვის აუცილებელ ნივთებს. ზურგიდან ასეთი ვამოხმაურება დიდათ სასიხარულოა და ვარწმუნებთ კომიტეტს, რომ ჩვენის ხმრით არ დავიშურებთ ჩვენს ენერგიას და ფიზიკურ შრომას ფრონტის გასამაგრებლათ და ჩვენი საყვარელ სამშობლოს საზღვრების დასაცავათ. ჩვენი მადლობა აგრეთვე მოქალაქეთ. რომელთაც თვის წვლილი შეიტანეს კომიტეტში ჯარისთვის...

ვაშა ბათომის ფრონტის დამხმარე კომიტეტის შემადგენლობას, ვაშა რესპუბლიკის შეგნებულ ჯარს, და ვაშა იმ მოქალაქეთ, რომლებიც ამ ჯარის გამაგრებას ხელს უწყობენ ჯარს ამხნევებს მათი ასეთი თანაგრძნობა!..

გთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ჩვენი გულწრფელი მადლობა კომიტეტისადმი.

მეოთხე ქვეითა ათასეულის უფროსი

პოლკოვნიკი ჩიქოვანი.

ანგარიში

კულტურული მუშაობისა მე-4-ე ქვ. ათასეულში ამა 1921 წლის იანვარში.

მე-4-ე ქვ. ათასეულმა მშვენივრათ იდღესასწაულა 1 იანვარი, ახალი წელი. ჯარის კაცთა უნივერსიტეტი მშვენივრათ იყო მორთული. მისასალმებელი სიტყვით მიმართა ჯარის კაცებს კულტურ.-საგანმანათლებლო სექციის ოფიცერმა კაპიტანმა კეთილაძემ. მან განუმარტა ჯარის კაცებს დღესასწაულის მნიშვნელობა. შემდეგ ვაიმართა წარმოდგენა: „ორი გმირი“ წარმოდგენა მშვენივრათ ჩატარდა და დიდი სიხარული გამოიწვია ჯარის კაცებში. შემდეგ გაიმართა გურული სიმღერები ჯ.-კ. ბასილაიშვილის ლოტბარობით. შემდეგ წარმოდგენილი იქნა: „ტიმოთეს ლილვი“. დღესასწაული დამთავრდა ცეკვით. კულტურულ-განმანათლებელი სექცია ეცადა შობის დღესასწაულის მოწყობას. საშობაოთ წარმოადგინეს: „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ“ და „მოფურჩხულია“. იანვრის თვის განმავლობაში ეწყობოდა ლექციები და საუბრები. აღსანიშნავია ი. იმედაშვილის საუბარი შემდეგ თემაზე: „ძველი და ახალი მეომარი.“ ი. იმედაშვილმა მოიყვანა ბევრი მაგალითები იმის დასამტკიცებლათ, რომ ძველი ქართველი მეომარი მიუწდომელ ზნეობრივ სიმაღლეზე იდგა. ეს იყო მიზეზი, რომ ქართველებმა შეინარჩუნეს დიდ ხნის განმავლობაში თავისი კულტურა და დამოუკიდებლობა. ახლანდელი ჯარის კაცის მოვალეობა დიდია, მან უნდა დაიცვას ნორჩი რესპუბლიკის თავისუფლობა და არავის არ მისცეს ნება შელახოს ჩვენი ინტერესები. კიდევ გაიმართა ლექცია შემდეგ თემაზე: „საქართველოს დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა და მომავალი პერსპექტივები“. წერა-კითხვის შესწავლა გრძელდება გუნდებში. ბევრმა ჯარის კაცმა ის წავლა კითხვა ისე ჩინებულათ, რომ პატარა მოთხრობებს კითხულობს, წერა კითხვას სწავლობს ასზე მეტი ჯარის კაცი. გაზეთების კითხვა გუნდებში კარგათ სწარმოებს. თბილისის გაზეთებს გუნდებში ეხლა თავის დროზე ვღებულობთ.

სამკითხველოს მოსდის: „ერთობა“, „სახალხო ფურცელი“, „საქართველო“ და „[illegible]“.

მკითხველებიც საკმარისია, სამკითხველოს სიიდან სჩანს, რომ დღეში დაახლოებით, 30—35 ჯარის კაცი კითხულობს გაზეთებს.

მადლობის ღირსია ნაწილის უფროსი პოლ. ჩიქოვანი, რომელიც ხმირათ ესწრება ჯარის კაცების გასართობ საღამოებს, და საერთოდ ხელს უწყობს კულტურა-განათლების საქმეს.

მადლობის ღირსია აგრეთვე კაპ. კეთილაძე, რომელიც ხშირიდათ შედის გუნდებში, უკითხავს საღამოებით ჯარის კაცებს მოთხრობებს ქართულ ლიტერატურიდან, აწყობს საუბრებს და ამხნევებს მათ.

ჯარის კაცი თ. ტრაპაიძე,

თეატრი და მუსიკა.

სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ შმაევსკის თეატრში დღეს 9 თებერვალს წარმოდგენელი იქნება პირველად აქაურ სცენაზე ი. სურგუჩოვის ცნობიერი პიესა „შემოდგომის ჰანგები“, სახელმწიფო თეატრის პრემიერის ალ. იმედაშვილის და დამსახურებული მსახ. მარო მდივანის და ჯავახიშვილის მონაწილეობით. დასი ამზადებს აგრეთვე ახალგაზრდა მსახიობის დ. ძნელაძის საბენეფისოდ ლ. ანდრეევის ცნობილ პიესას სტუდენტების ცხოვრებიდან „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ პირველად მიმდინარე სეზონში.

ოსიპოვის ბენეფისი.

თეატრ „გროტესკში“ 7 თებერვალს გაიმართა რუს-მსახიობის ოსიპოვის ბენეფისი. საბენეფისოთ დადგა „პუპსიკ“ პიესა საუცხოვო ჩატარდა. ხალხი საკმაოთ დაესწრ მიუხედავათ იმისა, რომ საშინელ წვიმა იყო.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატიცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

მე და ბ-ნი იოსებ ლომკაცის ძ ბერაია ერთად ვვაჭროვდით, საქმეზე მე ვაწარმოებდი და კარგათაც მიდ ყავდა. 8 ნოემბერს მე, როგორც სახალხო გვარდიელი, მობილიზაციით გამიწვიეს. ერთი თვის განმავლობაში სასადილო ბ-ნ ბერაიას ხელში იყო. როცა დავბრუნდი სასადილო დაკეტილი დამხვდა და თან ორასი ათას მანეთზე მეტი ვალი. ეს მე მომეწონა და ბ-ნ ბერაიას გაეგ მოვთხოვე. მოვიწვიეთ გარეშე რები და ბერაიას უთხარი, რომ ნაფასებზე ასი ათას მანეთს დაუ მობდი, თუ სასადილოს შეინარჩუ რადგან სამსახურის გამო მე დრ არ მქონდა ვაჭრობის. მაგრამ ბერაია ეს არ ინებადა სასადილო მე შემატო ვა. ოთხი კაცის დასწრებით ბერაიას მისი ხვედრი ფული გადავეცი თითქოს ბ-ნ ბერაიასთან ყოველივ ანგარიში გავათავე, მაგრამ ბ-ნი ბ რაია არ მეშვება. ორ თებერვალ კაცი გამომიგზავნა და შემომითვა: შენ მოკლული იქნებიო, რაც მესამე უბნის კომისარმაც იცის. ბ-ნ ბერაიას ოჯახობაც აყვა და ლანძღვა-გინებითა და სხვა და სხვა ხრ კებით ლამობენ მოთმინებიდან გ მომიყვანონ. ახლა გაზეთის საშ ლებით ვაძლევ წინადადებას ბ-ნ ბ რაიას ჩამომეთხოვოს, რადგან მ თან ყოველივე ანგარიშები გათავ ბული მაქვს.

გვარდიელი ი. თავდუმაძე.

რედაქტორი ძ. ძავთარაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

ყოველდღიური გაზ.

„ბათომის ცხოვრებაზე“

თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან. მუშა მოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით.

ხელ მოწერა მიიღება მარინეს ბროსპექტზე საბაშვილის სახლში.

ელექტრო მბეჭდავი სტამბა. მ. შმაევსკისა. მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.